საქართველო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
GEORGIA
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:გ-135. 135223344
თარიღი:30/11/2022

## ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ნოემბრის №135-135223295 მომართვის საფუძველზე,

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:**

1. მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი მესტიის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და „განისაზღვროს პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში, შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხების არანაკლებ 5%-ის ოდენობით, გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების 31 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია) წარადგინოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის,

ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

5. წინამდებარე განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას;

ბ) ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ( მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12)

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

*პროექტი*

დანართი №1

**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი მესტიის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა**

42 149 076 (ლარი)

| № | საპროექტო წინადადების დასახელება | პროექტის კატეგორია | პროექტის სავარაუდო ღირებულება | დაფინანსების წყარო | | პროექტის შესრულების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი (მოთხოვნილი თანხა) | ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება) | | |
| 1 | დაბა მესტიაში ჯონდო ხაფთანის ქუჩის რეაბილიტაცია | ქუჩები | 648 030 | 615 600 | 32 430 | 2023-2024 | |
| 2 | კალის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ იფრარის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | გზები | 4 334 233 | 4 117 500 | 216 733 | 2023-2025 | |
| 3 | იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზეგანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | გზები | 3 267 233 | 3 103 870 | 163 363 | 2023-2025 | |
| 4 | იფარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ადიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | გზები | 6 300 000 | 5 985 000 | 315 000 | 2023-2025 | |
| 5 | წვირმის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. იელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | გზები | 7 200 000 | 6 840 000 | 360 000 | 2023-2025 | |
| 6 | მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ არცხელის საავტომობილო გზისა და ხიდის რეაბილიტაცია | გზები | 1 000 000 | 950 000 | 50 000 | 2023-2025 | |
| 7 | ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ლახუშდის | გზები | 3 912 981 | 3 717 300 | 195 681 | 2023-2025 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | | | | | | |
| 8 | ლახამულის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | გზები | 1 819 973 | 1 727 980 | 91 993 | 2023-2024 | |
| 9 | ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ყარსგურიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია | გზები | 6 300 000 | 5 985 000 | 315 000 | 2023-2025 | |
| 10 | ლატალის ადმინისტრაციულ ერთეულში ლელბაგი-იფხი-სიდიანარის სანიაღვრე არხის მშენებლობა | სანიაღვრე არხები | 655 459 | 622 680 | 32 779 | 2023 | |
| 11 | ცხუმარის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა | სანიაღვრე არხები | 411 167 | 390 600 | 20 567 | 2023 | |
| 12 | მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა | ნაგებობა | 500 000 | 475 000 | 25000 | 2023 | |
| 13 | ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ ქურელთან ნაპირსამაგრი გაბიონების მშენებლობა | ნაგებობა | 300 000 | 285 000 | 15 000 | 2023 | |
| 14 | დ.მესტიაში ბულვარის მოწყობა | | 5 500 000 | 5 225 000 | 275 000 | 2023-2025 | |